განმარტებითი ბარათი

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში საჭიროა მოხდეს შემდეგი სახის ცვლილება.

1) გაიზარდოს როგორ შემოსულობები, ასევე გადასახდელები, კერძოდ:

ა) „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24/01/2025 წლის განკარგულება N146, საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის 5032,20 ლარით.

ბ) საქართველოს მთავრობის 31/12/2024 წლის N495 დადგენილებით, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით „პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამოს“ განხორციელებისთვის 20 520 ლარით.

გ) „მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21/02/2025 წლის N332 განკარგულებით გამოყოფილი თანხით 700 000 ლარით;

დ) და გაიზარდოს შემოსულობების არაფინანსური აქტივების კლება 215 000 ლარით;

2) შემცირებული იქნას გადასახდელების, მუნიციპალიტეტის მერიის ბინის ქირის ხარჯი 16200 ლარით;

სულ გსაწერი თანხა 931 200 ლარი დაიგეგმოს: ა) ა(ა)იპ-ების დაფინანსებისათვის 524 425 ლარი, კერძოდ: ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის სუბსიდია 12 375 ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის სუბსიდია 12 375 ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსის სუბსიდია 22 000 ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი სუბსიდია 22 000 ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლის სუბსიდია 12 375 ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის სუბსიდია 11 000 ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის სუბსიდია 60 500 ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სუბსიდია 17 875 ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სუბსიდია 34 375 ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის სუბსიდია 8 250 ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ლიდა გონგაძის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის სუბსიდია 14 500 ლარით; ახალი საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის გაიზარდოს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის სუბსიდია 296 800 ლარით (მიმდინარე ხარჯებისათვის, საოფისე ავეჯისა და ინვენტარის შეძენა-აღჭურვისათვის)

ბ) გაიზარდოს გზების მიმდინარე მოვლა-შენახვა თოვლის წმენდა 70 000 ლარით, გარე განათები ელ.ენერგიის ხარჯი 21 787 ლარით, საზედამხედველო მომსახურება 50 000 ლარით, სოფლის მხარდაჭერის წილობრივი მონაწილეობა 100 000 ლარით, მერის სარეზერვო ფონდი 50 000 ლარით, ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები 30 000 ლარით, ახალგაზრდული პოლოტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერის ხარჯისთვის 10 000 ლარით და სოფელ შეუბნის ადმინისტრაციული შენობისათვის გარე კანალიზაციის (სეპტიკის) მოწყობის სამუშაო 25 000 ლარით.

გ) დაიგეგმოს ბალანსზე რიცხული შენობების ახალი მომხმარებლის ქსელის მოწყობისათვის 40 188 ლარი (ელექტრო ენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის აბონენტად აყვანის); სკოლამდელი დაწესებულების ახალი მომხმარებლის ქსელის მოწყობისათვის 9 800 ლარი (ელექტრო ენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის აბონენტად აყვანის);

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 20 608 593 ლარი.

პროექტი შეადგინა: თ. ბ. თ. ბროლაშვილი

შემსრულებელი: ნ. ბ. ნ. მეტრეველი